ვინც საკვების მიღების შემდეგ იტყვის: "ყოველი დიდება ალლაჰს, რომელმაც მაჭამა ეს საკვები და მანვე მაჩუქა იგი, მიუხედავად იმისა, რომ მე არ მქონდა ამის არც უნარი და არც ძალა (ალჰამდულილლაჰი ლაზიი ატ'ამანაა ჰაზაა ვა რაზაყანიიჰი მინ ღაირი ჰავლი მინნიი ვა ლაა ყუვვათინ), მას ეპატიება მის წარსული ცოდვები

გადმოცემს საჰლ იბნ მუაზ იბნ ანასისგან, რომელიც თავისი მამისგან გადმოსცემს, ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც საკვების მიღების შემდეგ იტყვის: "ყოველი დიდება ალლაჰს, რომელმაც მაჭამა ეს საკვები და მანვე მაჩუქა იგი, მიუხედავად იმისა, რომ მე არ მქონდა ამის არც უნარი და არც ძალა (ალჰამდულილლაჰი ლაზიი ატ'ამანაა ჰაზაა ვა რაზაყანიიჰი მინ ღაირი ჰავლი მინნიი ვა ლაა ყუვვათინ), მას ეპატიება მის წარსული ცოდვები».

[კარგი (ჰასან)] [გადმოსცა აბუ დაუდმა, ალ-თირმიზიმ, იბნ მააჯამ და აჰმადმა]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და შვიდობა მას) მოუწოდებს იმას, ვინც საკვებს მიირთმევს, რომ მადლობა შესწიროს ალლაჰს. ადამიანს არ აქვს უნარი თვითონ მოიპოვოს საკვები ან მიირთვას იგი, უზენაესი ალლაჰის დახმარებისა და წყალობის გარეშე, შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და შვიდობა მას) აცნობა სასიხარულო ამბავი, რომ ვინც ამ სიტყვებს წარმოთქვამს, იმსახურებს იმას, რომ ალლაჰმა აპატიოს მისი მცირე ცოდვები.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/5431